# ბაჩიბუჩა

## და მეგობრები

ჟურნალი
+ წიგნი
5 ლარი

N41 ოქტომბერი 2014 ბაღის ასაკის ბავშვებისა და უმცროსკლასელთათვის



ISSN 1987-6785
9 771987 678001

# ბატიბუტა და მეგობრები







გამარჯობა, ჩემო მეგობარო! ამ არდადეგებზე ბევრი ამბავი დამიგროვდა შენთვის მოსაყოლი, ბევრ თამაშში მინდა ჩაგრთო, SMS-კონკურსში. შუა თამაშიც ძალიან სახალისოა, ახალი გასაფერადებლებიც! მე და ჩემი მეგობრები ველარ ვითმენთ, სანამ შემოგვიერთდები. კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა „ბატიბუტას" ოქტომბრის ნომერში!

ბატიბუტა











მე ვარ..............................

------------------------------------------

დაწერე შენი სახელი და გვარი



ჟურნალი ბაღის ასაკის ბავშვებისა და უმცროსკლასელთათვის

გამოდის თვეში ერთხელ


4-7
შიმპო და ბანანი



8-9
გააფერადე გააფერადე

14-15
რა ჩასჩურჩულა ბატიბუტამ შიმპოს



16-17
SMS-კონკურსი



20
ჯუნგლები



# ვინ მივა პირველი ფერმამდე

ეს თამაში ორისთვისაა — დაგჭირდებათ ორი ფანტი და ერთი კამათელი. გააგორეთ და ვისაც მეტი ქულა გაუგორდება, ის იწყებს თამაშს. მერე კი ჩვეულებრივ გადადით სვლებზე, მინიშნებებსაც დააკვირდით და ვინც პირველი მივა, გამარჯვებულიც ისაა.



# შიმპო და ბანანი





**1.** — რა კარგი იყო არდადეგები! — შესძახა ფანჯარასთან მდგომმა შიმპომ.

— მართლა მაგარი იყო, — აჰყვა ნუციკო, — განსაკუთრებით ჩვენი ზღვის თავგადასავალი.

ამის გახსენებაზე ყველას გაეცინა. თუმცა შენ არ იცი ხომ მათი საზღვაო ამბები? ჰოდა ახლა გიამბობ, როგორ გაეშურნენ ზღვაზე და რა ანბავი გადახდათ იქ.

**2.** პირველივე დილას გამოეფინენ სანაპიროზე.

— რა ლამაზია ზღვა! — ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი ბატიბუტამ და ტალღების დგაფუნს მიუგდო ყური.

— ნახეთ, მოცურავე ბანანი! — წამოიძახა უცებ შიმპომ და თვალები გაუნათდა.

— ჰო, ოღონდ საჭმელი არ გეგონოს, მაგაზე ხალხი ჯდება და წყალში დააქროლებს, — აუხსნა ბობომ.

— კარგი ერთი, მეც ვიცი, რა არის ეგ, — არ შეიმჩნია უცოდინრობა შიმპომ, — და ახლა გაჩვენებთ, როგორც ვიცი...

**3.** სანამ ვინმე რამეს ეტყოდა, შიმპო ორ წამში ზედ მოექცა იქვე ახლოს გაჩერებულ დიდ ბანანს, სატერფულს ფეხი დააჭირა და... მოწყდა ადგილიდან.

იახტებისა და სკუტერების პატრონები წამოიშალნენ, ყვირილი ატეხეს:

— ეეეე, დააბრუნე, ტარება თუ არ იცი, იტკენ რამეს!!! უსაფრთხოების ჟილეტი მაინც შემოიცვი!!!

მაგრამ შიმპოს აღარაფერი ესმოდა.



**4.** კარგად შეცურდა წყალში, თუმცა ისეთი სისწრაფე აკრიფა ბანანმა, ამას არ ელოდა. აშკარად შეეშინდა.

— აუ, რას ავიტეხე ეს ბანანი, ახლა რომ ამოვყირავდე, ცურვაც კი არ ვიცი, — მაგრად ჩაეჭიდა საჭეს და გაფართოებული თვალებით გახედა სივრცეს.

წინ დიდი გემი მოცურავდა.

— ვაიმე, არ დამეჯახოს!!! — სულ ცოტას აცდა, რომ გემს არ მიჯახებოდა. დროულად რომ არ მოეხვია, ისე შეასკდებოდა გემს, შიმპოს კუდიც კი არ დარჩებოდა.





**5.** გემს კი ააცილა, მაგრამ მკვეთრი მოხვევის გამო წონასწორობა ვეღარ შეინარჩუნა და ბანანიდან წყალში გადაცურდა.

— ვაიმე, ვიხრჩობი! — სასოწარკვეთილმა დაიყვირა. ტანით წყალში იყო, ხელებით კი ბანანს ეჭიდებოდა. უნდოდა ზედ ასვლა, მაგრამ ისეთი სველი იყო ზედაპირი, ხელები უცურდებოდა. ცოტაც და, მთლიანად ჩაიძირებოდა წყალში ჩვენი შიმპო.



**6.** ამასობაში მეგობრები ნაპირზე ტრიალებდნენ. სამაშველო სამსახურს მიმართეს, რადგან იცოდნენ, შიმპომ ცურვა არ იცოდა. ერთ-ერთ სამაშველო იახტასთან მივიდნენ, აუხსნეს საქმის ვითარება, ყველანი ჩასხდნენ იახტაში და გაეშურნენ შიმპოს საშველად.



**7.** შიმპოს სულ-ზე მიუსწრეს. უკვე დაღლილიყო წყალ-თან და ბანანთან ბრძოლით და საცაა ჩაიძირებოდა. მეგობ-რებმა ხელი გაუ-წოდეს და იახტაზე აიყვანეს.

**8.** — მაშინ მართლა მაგრად გვანერვიულე, მეო-რედ ასე აღარ მოიქ-ცე! — კიდევ ერთხ-ელ უსაყვედურა ბატიბუტამ.

— რა დროს ეგაა, სწავლა დაგვეწყო და ახლა ბანანებზე კი არა, წიგნებზე უნდა იფიქროთ! — შესძახა ბობომ და ყველამ აიტაცა მისი მოწოდება.



# გააფერადე



# გააფერადე







## ნოდარ დუმბაძის

# ლექსები



### ნანა

ლურჯ ჯეჯილს ეკითხებოდა
გაოცებული ნანაო:
— ეგ კაბა ყაყაჩოებით
ვინ მოგიქარგა, ყანაო?
ერთი ის კაცი მაჩვენე,
მეც მინდა მაგისთანაო.

### ქეთინოს ვედრება მზისადმი

მზეო, დაბრუნდი, დაბრუნდი,
ნუ ჩაეშვები ზღვაში.
ზღვას ცეცხლი წაეკიდება,
ჩემი მამა ზის ნავში.
იმას რომ რამე შეემთხვეს,
რა მეშველება მაშინ?!
მზეო, დაბრუნდი, დაბრუნდი,
არც მე დაგრჩები ვალში,
დილით რომ ამობრძანდები,
შეგეგებები ტაშით.









## დედიკოს ვფიცავარ!

წერა-კითხვა ვისწავლე,
აი, უკვე დიდი ვარ.
არ წამიყვანთ სკოლაში?
ბაღში აღარ მივდივარ!..



## ბაღი

მე ბაღი ბაღი მეგონა,
ყვავილებით და პეპლებით,
აქ კი რა დამხვდა? - მაგიდა,
წიგნი და მასწავლებელი,
ვაშლის ფაფა და სტაფილო,
კატლეტები და სუპები,
არა, ბატონო, ამ ბაღში
უთუოდ დავიღუპები.
არ მინდა თქვენი საწოლი,
არც ეს ფაფუკი ბალიში,
ან ნამდვილ ბაღში წავიდეთ,
ან არა - სახლში გამიშვით.



# იპოვე 10 განსხვავება





# ლაბირინთი

წვნიანს თურმე მარილი აკლია, ამ ბიჭუნას კი გაუჭირდა მარილამდე გზის გაკვლევა. დაეხმარეთ, ამ ლაბირინთში გაერკვას.



# ლოგიკური თამაში






დააკვირდი ამ ფიგურებს და მათ რაოდენობას, მერე კი მარჯვნივ შესაბამისი ფიგურა შესაბამის ციფრთან დააკავშირე.

# კროსვორდი

ზაფხული გავიდა, არდადეგები დამთავრდა, თუმცა კარგი მოგონებები დაგვიტოვა. თუ სწორად შეავსებ ამ კროსვორდს იმ სიტყვებით, რომლებიც უკავშირდება ზაფხულს, სიცხეს და წყალს, ცისფერ რგოლებში საყვარელ სასუსნავს მიიღებ.


1


2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | |
| 2 | | | | | | |
| 3 | | | | | | |
| 4 | | | | | | |
| 5 | | | | | | |
| 6 | | | | | | |

3


4



6


5

# რა ჩასჩურჩულა ბატიბუტამ შიმპოს

ბატიბუტა და შიმპო უცნაურ ქვეყანაში მოხვდნენ. გარშემო სულ ტკბილეულობა იყო — შოკოლადები, კანფეტები, ნაყინები... შიმპოს თვალები გაუბრწყინდა და მოემზადა ყველაფრის შესაჭმელად, ბატიბუტა კი უფრო ყურადღებიანი ბრძანდება და შიმპოს რაღაც ჩასჩურჩულა ყურში, რის მერეც ორივე სასწრაფოდ გაშორდა ამ უცნაურ ადგილს. აბა, რა ჩასჩურჩულა ბატიბუტამ შიმპოს?

როგორც ხედავ, ნახატზე სხვადასხვა ნუგბარს ასოები აწერია. ქვემოთ მოცემულ გრაფებშიც ის ნუგბარია ჩახატული. პირველი ნუგბარის შესაბამისი ასო ზემოთ პირველ ცარიელ გრაფაში ჩაწერე, მეორე ნუგბარის შესაბამისი ასო — მეორე გრაფაში და ასე გააგრძელე ბოლომდე. მაგალითად, პირველ ქვედა გრაფაში ჩახატულია ნამცხვარი, რომელიც „ბ“ ასოთია აღნიშნული. ე.ი. ზემოთ პირველ ცარიელ გრაფაში ასო „ბ“ უნდა ჩაწერო და ასე გააგრძელო ბოლომდე, სანამ გაიგებ, რა ჩასჩურჩულა ბატიბუტამ შიმპოს.






პასუხი: ბევრი ტკბილი მავნებელია.



# ბატიბუტას SMS კონკურსი

ბატიბუტა 9 კითხვას დაგისვამს, რომლებზეც პასუხის გაცემა არ უნდა გაგიჭირდეს. ამ 9 კითხვიდან მხოლოდ ორს აქვს ერთი და იგივე პასუხი. თუ ყველა კითხვას სწორად უპასუხებ, იმ სიტყვასაც გამოიცნობ, რომელიც ორი კითხვის სწორი პასუხია. თუ ამ სიტყვას SMS-ით გაუგზავნი (15 ოქტომბრამდე), ბატიბუტა შენს სახელსა და გვარს ნოემბრის ნომერში გამოაქვეყნებს და მონაწილეობას მიიღებ ბატიბუტას ფოტოების კონკურსში. ყოველი ორმოცდამეათე გამარჯვებულის ფოტო დაიბეჭდება ჟურნალის მომდევნო ნომერში.

არ დაგავიწყდეს სახელის, გვარისა და საცხოვრებელი ადგილის (ქალაქის ან სოფლის) მითითება.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სმს-ვიქტორინის სწორი პასუხია **ტანკი**. მათ ვინაობას, ვინც წინა კონკურსის სწორი პასუხი გამოგზავნა, ჟურნალის 26-ე გვერდზე გაგაცნობთ.

ბატიბუტას ნომერზე SMS იგზავნება ჩვეულებრივი ტარიფით და ფასიანი არ არის.

**1**

გემრიელი ყვითელი ხილია:
კივი; მანგო; ბროწეული; გარგარი.

**2**

თავის „მოსართავს“ ჰქვია:
ბადე; პარიკი; კულონი; საყურე.



**3**

გუნდური სპორტის სახეობაა:
ნარდი; კრივი; ფრენბურთი; ჭადრაკი.

**ᲑᲐᲢᲘᲑᲣᲢᲐᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲐ:**

# 551-85-00-55

**4** **ᲛᲖᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐᲐ:**
მზე; დედამიწა;
მთვარე; იუპიტერი.

**5** **ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲠᲐᲡ ᲓᲐᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲖᲦᲐᲠᲑᲘ?**
ვაშლს; ბანანს;
შოკოლადს; ნაყინს.

**6** **ᲛᲣᲚᲢᲤᲘᲚᲛ „ᲠᲘᲝᲡ“ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ:**
სპილოები; ჟირაფები;
არწივები; თუთიყუშები.

**7** **ᲬᲧᲚᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲐ:**
იახტა; კვადროციკლი;
სკეიტი; დელტაპლანი.

**8** **ᲙᲚᲐᲕᲘᲨᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲘᲐ:**
საყვირი; კლარნეტი;
დოლი; როიალი.

**9** **ᲡᲘᲛᲔᲚᲝᲢᲔᲡ ᲛᲐᲚᲐᲕᲡ:**
ქოლგა; პარიკი;
სათვალე; ხალი.





batibuta09@mail.ru

# ბატიბუტას

ბატიბუტა სხვენში საოცარ წიგნს წააწყდა. საკმარისია, თვალები დახუჭო, ჩაიფიქრო, რაც გაინტერესებს და თვალის გახელის შემდეგ, ზუსტად იმ გვერდზე გადაშლი ჯადოსნურ წიგნს, რომელ გვერდზეც ამ კითხვის პასუხი წერია. თურმე არ არსებობს ისეთი რამ, ამ წიგნში რომ არ ეწეროს. მისწერე ბატიბუტას, რაც გაინტერესებს, გადაშლის საოცარ წიგნს და აუცილებლად გიპასუხებს, ყველაზე ჭკვიანურ კითხვებს კი ჟურნალშიც დაბეჭდავს...

პარიკები, როგორც თმის მოსართავი, ადამიანებს უძველეს დროში მოუგონიათ. ოღონდ მაშინ სურდათ, ცხოველებს დამსგავსებოდნენ და ნანადირევს ტყავს აცლიდნენ, მერე კი თავზე „ირგებდნენ“. მოგვიანებით პარიკები მაღალი წრის ადამიანებისთვის აუცილებელი თავსაბურავი იყო — მამაკაცებიც და ქალებიც მხოლოდ პარიკებით დაიარებოდნენ საზოგადოებრივ შეკრებებზე. დღეს პარიკი ისეთი პოპულარული აღარ არის, ძირითადად კლოუნები და თეატრის მსახიობები იყენებენ, ასევე ისინი, ვისაც ბუნებრივად თმა გაცვენილი აქვს და სურს, სიმელოტე დამალოს.





გარგარის სამშობლო ჩინეთი ყოფილა. გარდა იმისა, რომ ძალიან გემრიელია, ძალიან სასარგებლო ხილია, თანაც, როგორც ცოცხალი ხილი, ისე გამომშრალიც — ჩირის სახით. მასში ბევრი ვიტამინია და ამიტომაც არის, რომ უფროსები გირჩევენ, ხშირად მიირთვათ. ასე რომ, დაუჯერეთ მათ და ნუ მოიკლებთ ხოლმე გარგარის მირთმევის სიამოვნებას.

იუპიტერი მზის სისტემის ყველაზე დიდი პლანეტაა, რომელსაც გაცილებით მეტი მასა ჰქონია, ვიდრე ყველა სხვა პლანეტას. იუპიტერი მზიდან მეხუთე პლანეტაა. სატურნთან, ურანსა და ნეპტუნთან ერთად იუპიტერს გაზის გიგანტს უწოდებენ.



# ჯადოსნური წიგნიდან



გინახავთ ალბათ ნახატებში თუ მულტფილმებში ზღარბი, რომელსაც ეკლებზე ვაშლი აქვს შემოდებული? თურმე, სინამდვილეში ზღარბს სულაც არ უყვარს ვაშლი და ზამთრისთვის მარაგს რომ იკეთებს, სხვა სახის სასუსნავს იმარაგებს. აი ვაშლი კი იცით რისთვის სჭირდება? ამ ხილის მჟავით თურმე ეკლებს ასუფთავებს პარაზიტებისგან. და სულაც არ მიირთმევს ამ ვაშლებს და არც იმარაგებს.

მულტფილმი „რიო“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია დღეს. ამერიკულ-ბრაზილიურ ანიმაციურ ფილმში იშვიათი სახეობის, ლურჯი თუთიყუშების საინტერესო თავგადასავლებია მოთხრობილი. რატომ ჰქვია „რიო“? იმიტომ, რომ მთავარი გმირი ბრაზილიური ქალაქიდან — რიო-დე-ჟანეიროდან არის, საიდანაც თავისი წინაპრების სამშობლოს, ამაზონის ჯუნგლებს დაუბრუნდება.





ფრენბურთი ერთადერთი სპორტის სახეობაა, სადაც აუცილებელია ბურთი მოწინააღმდეგის მხარეს ისე გადაისროლო, რომ მიწას შეეხოს. ეს გუნდური სპორტის სახეობა ფიზიკის მასწავლებელმა უილიამ მორგანმა გამოიგონა ამერიკის ქალაქ ჰოლიოკში, როცა სპორტულ დარბაზში ჩვეულებრივი საჩოგბურთო ბადე გააბა და მისმა მოწაფეებმა კალათბურთის ბურთით დაიწყეს თამაში ამ ბადის ორივე მხარეს. ასევე პოპულარულია პლაჟის ფრენბურთი — სანაპიროზე შეკრებილ ახალგაზრდებს უყვართ ქვიშაზე ფრენბურთით გართობა.

# მუსიკალური გამოცანა

ხედავ მუსიკალურ საკრავებს? შუაში რომ საკრავია, მას ქსილოფონი ჰქვია. მასზე დაწერილ ფერად ასოებს თუ ქვემოთ იმავე ფერის ცარიელ რგოლებში ჩაწერ, სურათზე გამოსახული ერთ-ერთი ინსტრუმენტის სახელს მიიღებ.




# ჯუნგლები

აბა, დააკვირდი ჯუნგლებში მობინადრე ამ ცხოველებსა და ფრინველებს და რამდენიმე შეკითხვასაც უპასუხე.






პასუხი: 1. გველი; 2. ექვსს; 3. ბურთი.

# ცისარტყელას ფერები

ამ ნახატს ხომ ხედავ? მის კუთხეში ცისარტყელას ფერებია. კარგად დააკვირდი, ცისარტყელის ყველა ფერია გამოყენებული ნახატში? აბა, თუ იპოვი ერთს, რომელიც არ არის გამოყენებული.



# პოკოიო ზღვაზე

პოკოიო მეგობრებთან ერთად სანაპიროზე ერთობა. ჩვენც გავერთოთ და მის შეკითხვებსაც ვუპასუხოთ.




პასუხი: 1. ვეშაპი; 2. ორი — საზამთრო და ვაშლი; 3. ოცი.

# დელფინები

დელფინები ადამიანების მეგობრები არიან და ძალიანაც გვგვანან. ალბათ ამიტომ ჰქვიათ მათ დელფინები — თურმე, სიტყვა „დელფოს“ ბერძნულად „ძმას“ ნიშნავს. უფრო ახლოს გავიცნოთ ჩვენი „ძმები“.





დელფინები ძუძუმწოვრები არიან, ვეშაპისნაირთა რიგის. ჯოგებად ცხოვრობენ, სწრაფად ცურავენ. იკვებებიან თევზით, თავფეხიანი მოლუსკებით, იშვიათად კიბოსნაირებით. განსაკუთრებით განვითარებული აქვთ სმენა, რაც წყალში ორიენტაციის საშუალებას აძლევს.

დელფინები ადამიანებს ჰგვანან ბევრი რამით — მაგალითად, ისინიც ფილტვებით სუნთქავენ, გულიც ჩვენნაირი აგებულების აქვთ და ტვინიც კი თითქმის ადამიანის ტვინის ზომის აქვთ. დელფინებიც და ადამიანებიც თბილსისხლიანები არიან და ზომითაც დაახლოებით უტოლდებიან ადამიანებს — დელფინების საშუალო სიგრძე 1,5-2 მეტრია.

განვითარებული თავის ტვინი მათ საშუალებას აძლევს, დიდი რაოდენობის ინფორმაცია გადაამუშაონ. ამიტომაც არის, რომ თუთიყუშების მსგავსად, მათ შეუძლიათ ადამიანის მიერ თქმული სიტყვების გამეორება. ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან მოსწონთ, კეთილები არიან და ადვილადაც იწვრთნებიან. საამისოდ დელფინები დელფინარიუმებსა და ოკეანარიუმებში ჰყავთ ხოლმე.

დელფინების მოშინაურებით ადამიანს ზღვის სიმდიდრის უფრო სრულყოფილი ათვისების საშუალება ეძლევა. საზღვარგარეთ დელფინებს სწავლობენ სამხედრო მიზნითაც: ნაღმების, ტორპედოების, ჩაძირული გემების, წყალქვეშა ნავების აღმოსაჩენად.

ძველ საბერძნეთში, სადაც უწოდეს დელფინს ეს სახელი, მას მართლა მოძმე არსებად მიიჩნევდნენ და დელფინის მოკვლა სასტიკად ისჯებოდა. მას წმინდა თევზსაც კი ეძახდნენ და ეთაყვანებოდნენ. ძველ რომში კი ფიქრობდნენ, რომ დელფინები ადამიანების სულებს მიაცილებდნენ საიქიოსკენ.



# აპლიკაცია



# ჩრდილები



ამ ჩრდილებიდან „აბა, დამაცადეს“
მგლის ზუსტი ჩრდილი მხოლოდ ერთია.
დაეხმარეთ მის პოვნაში.







# ფოტო-ამბავი

სურათის მიხედვით, უნდა გამოიგონო ერთი პატარა ამბავი და წერილით ან მესიჯად მისწერო ბატიბუტას (15 ოქტომბრამდე) ელექტრონული ფოსტით: batibuta09@mail.ru
გამოგონილ ამბებს ბატიბუტა წაიკითხავს და თუ მოეწონება, გამოაქვეყნებს! არ დაგავიწყდეს სახელის, გვარის და ასაკის მითითება.



წაუკითხე მშობლებს და ოჯახის წევრებს გამოგონილი ამბავი!

* * *

იყო და არა და იყო რა, იყო ერთი ცხენი, სახელად პიპო. პიპო ძალიან ბევრს ვარჯიშობდა სირბილში, რადგან მან და მისმა მეგობარმა მაიმუნმა ბატატომ გადაწყვიტეს დოღში მიეღოთ მონაწილეობა. ფიქრობდნენ რომ მოიგებდნენ პრიზს, ჯილდოდ დაწესებულ ფულად თანხას და აიხდენდნენ ოცნებას – გახსნიდნენ მსოფლიოში ყველაზე დიდ საკონდიტროს, სადაც ნაყინი და ბევრი ტკბილეული გაიყიდებოდა. პიპო და ბატატო საკონდიტროში იმუშავებდნენ და ზოგჯერ პატარებს სიურპრიზს მოუწყობდნენ, უფასოდ დაურიგებდნენ ტკბილეულს.

*ელენე ბეციაშვილი.*
*5 წლის*

* * *

პატარა მაიმუნმა გადაწყვიტა, ცხენით ჯირითში გამოეცადა თავი. შეშინებული მოახტა ცხენს და გააჭენა. ყველა დაარწმუნა იმაში, რომ ხეზე ძრომიალის გარდა ცხენის ჭენებაც შეეძლო და მასთან დამეგობრებაც.

*გიორგი ბარჯაძე.*
*კასპი, სოფელი დოესი*

* * *

ერთ დღეს მე და ჩემი მეგობარი შიმპო წავედით ცხენების შეჯიბრებაზე. ჩემმა მეგობარმა შიმპომ გადაწყვიტა, დოღში მიეღო მონაწილეობა და 2 ნომერ ცხენს შემოაჯდა და გააჭენა, რომელიც პირველ ადგილზე გავიდა. გაიმარჯვა და იმ წუთს მე და ჩემი მეგობარი შიმპო ძალიან ბედნიერები ვიყავით.

*რუსუდან მელიშიანი.*
*5 წლის*

* * *

იყო ერთი ცხენი, რომელსაც ძალიან უყვარდა სირბილი. მთელი დღე დარბოდა. თავისმა მეგობარმა მაიმუნმა გადაწყვიტა, დოღზე წაეყვანა. წავიდნენ, მაიმუნი შეაჯდა და ცხენი გააქროლა. ისე სწრაფად გარბოდა, მაიმუნს გადმოვარდნის ეშინოდა და მაგრად მოეხვია კისერზე. მათ გაიმარჯვეს ამ შეჯიბრზე და ორივე ბედნიერი იყო ამ წარმატებით.

*ხატია ხარბედია.*
*წინანდალი*

* * *

ერთმა მაიმუნმა გადაწყვიტა, დოღში მიეღო მონაწილეობა. წავიდა იპოდრომზე სავარჯიშოდ. როდესაც ცხენი დაოთხილი გაიქცა, შეეშინდა, მთელი ძალით შემოეხვია ცხენს. ისე გაუცრუვდა იმედი, ყველაფრის სურვილი დაკარგა.

*გიგი აბრამიშვილი*

## მშიშარა გორილა

ერთმა პატარა გორილამ დაიჟინა და დოღში მონაწილე ცხენზე პატრონის მაგივრად თვითონ შესკუპდა. დოღის დროს საწყალი მაიმუნი შიშით გაიწურა, ცხენს კისერზე შემოეხვია და ჩაეძინა.

*ზურა ყოყოჩაშვილი.*
*11 წლის, გურჯაანი*

* * *

იყო ერთი ბიჭი, სახელად ნიკა. ჰყავდა პატარა კვიცი. მერე მამამ პატარა მაიმუნი მოუყვანა. მას სახელად დაარქვა პო, ხოლო კვიცს ნიჩა. ერთად იძინებდნენ პო და ნიჩა. ნიკა პოს დასვამდა ნიჩას ზურგზე და ასეირნებდა. ამასობაში ნიჩა მაგარი ცხენი დადგა. ნიკამ გადაწყვიტა, დოღში მიეღოთ მონაწილეობა. განსხვავებული გამოსვლა რომ ყოფილიყო, პო შეასვა ნიჩას ზურგზე და ისე მიაღებინა მონაწილეობა. ორივემ გაიმარჯვა და ნიკა გაახარეს.

*მალხაზ თოდაშვილი,*
*სოფელი ზეგაანი*

* * *

იყო ერთი კაცი. მას საუკეთესო ცხენი ჰყავდა, რომელიც დოღში მონაწილეობდა. ერთ დღეს მაიმუნი ჩიტა შეისყიდა, ჩიტასაც თან დაატარებდა ცხენით. ცხენი და მაიმუნი ერთმანეთს ძალიან მიეჩვივნენ. ერთი შეჯიბრის დროს კაცი დაშავდა, დოღში ვერ მონაწილეობდა. ჩიტამ გადაწყვიტა, კაცის მაგივრად მიეღო მონაწილეობა. შეაჯდა ცხენს და გაიმარჯვეს დოღში ჩიტამ და ცხენმა.

*გიორგი მებაღიშვილი*

წინა ნომრის ფოტო





# ბატიბუტას იუბილარები და SMS კონკურსის გამარჯვებულები


ანუკი შაქარაშვილი


ლიზი ჯავახიშვილი


ლუკა ლაბაური


ნანუკა ურუშაძე


ანასტასია ირემაშვილი


ქეთი და ბექა ტაკაშვილები


გიორგი და გვანცა ცოკიაშვილები



რუსუდან და ანასტასია გუმბერიძეები


ნიკოლოზ ხურცილავა


ვანო ასაშვილი


ნიკა ისაკოვი

ბაჩანა გიორგაძე; გიორგი წიგნაძე; გიორგი მეკოკიშვილი; საბა ლორთქიფანიძე; ნიაკო მაჭარაშვილი; ნიკოლო ხარაძე; საბა ღვაჩლიანი; გიორგი დათუნაშვილი; თამარ ქადაგიშვილი; ნინო ქადაგიშვილი; ამიკო კოპალიანი; გიორგი ქოსმენაშვილი; გიორგი დაბრუნდაშვილი; მინდია გოგაძე; ლიზი ვასაძე; ელენიკო ვასაძე; სანდრო ქარქუსაშვილი; გიორგი ღონიაშვილი; ბორის ღონიაშვილი; ნინი შიომღვდლიშვილი; ანდრი ლორთქიფანიძე; თორნიკე ასლამაზაშვილი; ნიკა ასლამაზაშვილი; ხატია მორჩილაძე; ანასტასია აფხაზიშვილი; ნინი აფხაზიშვილი; ანა კირვალიძე; გიორგი ბასიაშვილი; ნიკოლოზ მერაბიშვილი; დაჩი მერაბიშვილი; საბა შამილიშვილი; გიორგი მამისაშვილი; აჩიკო ჭიკაძე; ნოდო ვალიშვილი; დათუნა ვალიშვილი; ანა ურუშაძე; ლიზი ურუშაძე; ნათია ვაჩნაძე; ნიკოლოზ ბაწელაშვილი; ანა ბაწელაშვილი; ვლად ჯინჭარაძე; ლაშა მჟავანაძე; ანასტასია ცეცხლაძე; ერეკლე ცეცხლაძე; მათე წულუკიძე; ნიკოლოზ ხუტუაშვილი; ლუკა ქარაული; თემურ პავლიაშვილი; ზაურიკო კირაკოზაშვილი; **დათო დათაშვილი;** ანიუტა საგინაშვილი; მარიამ პაპუაშვილი; მარიამ კირაკოზაშვილი; თაკო კირაკოზაშვილი; მარი თაბაგარი; დათო თაბაგარი; ოთო ყირიმელაშვილი; სალომე ციციშვილი; გიორგი ნანუაშვილი; ლუკა მაილიანი; მარიამ გაგელაშვილი; მარიამ ბექაური; თემუკა გორელიშვილი; ეთია ბოსტოღანაშვილი; გიგო ბოსტოღანაშვილი; ლიზი კუზანაშვილი; მათე მახარაშვილი; კობა ნინაშვილი; ანამარია ნინაშვილი; საბა არაბიძე; ნუციკო არაბიძე; ლიკა გაბროშვილი; მარიამ კუსრაშვილი; ნუცა ბორაშვილი; მეგი ცხოვრებაძე; დათო ცხოვრებაძე; მარიამ ცხოვრებაძე; ბარბარე კუსრაშვილი; ვახუნა აღვინაშვილი; ნოდიკო აღვინაშვილი; თაკო ორმოცაძე; ლუკა ბართაია; როინ ქარცივაძე; მარიამ ბარამიძე; მიშიკო ბაქრაძე; მარიამ ბაქრაძე; კოკა ძიძიგური; ხატია ხარბედია; ნინიკო ვაჩნაძე; თიკა კაკულია; ანა დავითაშვილი; მარიამ აგნიაშვილი; ნინი პაპინაშვილი; ლიკა ლომაძე; უჩა ბეგლარაშვილი; ჯამბული გოგოლაშვილი; მართა ქვარცხავა; ბარბარე მოდებაძე; ლუკა გორჯელაძე; **ნატა გორჯელაძე;** იური სოზიაშვილი; ლალი სოზიაშვილი; ვანო ასაშვილი; ანუკი შაქარაშვილი; საბა ბალიაშვილი; გვანცა ბალიაშვილი; გიორგი ვოსკანიანი; ანასტასია ბეჟუაშვილი; ალექსანდრე ბეჟუაშვილი; მარიამ არჯევნიშვილი; ლიზი ბენიძე; ნიკა მარიდაშვილი; სერგო საათაშვილი; თორნიკე ლორია; ნიკოლოზ კონცელიძე; მათე ჭყოიძე; ვაჟიკო ლობჟანიძე; საბა ცინცაძე; ელენე ცინცაძე; თათია ფირცხალაიშვილი; მარიამ ჭამიაშვილი; სალო ჭამიაშვილი; თენგო ქავჟარაძე; ქეთი გველესიანი; თეკლა გველესიანი; გიორგი ვერულაშვილი; გიორგი სალბიშვილი; საბა ბაზერაშვილი; ვალერი მარკოზაშვილი; ქეთო ახალაძე; ქრისტო ახალაძე; ნიკუშა აჯიაშვილი; დათუნა ბლიაძე; გუგა წიქარიძე; ნიკა წიქარიძე; ლიზი წიბლიაშვილი; ვაკო ჯავახიშვილი; მათე ნადირაძე; ნინი ბარჯაძე; კესო რუსიშვილი; ლუკა რუსიშვილი; საბა თავართქილაძე; გიალო თავართქილაძე; რატი გოგიჯანაშვილი; ნატალი გრაკალიშვილი; დავით ნუცუბიძე; გიორგი მებაღიშვილი; მალხაზ თოდაშვილი; ქეთი ნადირაძე; **ნიკა ტურაშვილი;** ლიკა ბარბაქაძე; მაია ბარბაქაძე; მარიამ გელაშვილი; ანა ხუციშვილი; სალომე წერუაშვილი; ელენე წერუაშვილი; ნატალი წერუაშვილი; ელენე პაპიანი; ნათია შანიძე; გიორგი ბერძენიშვილი; ლიკა ჯიჯეიშვილი; გიორგი ჯიჯეიშვილი; ნუცა გოგიბერიძე; მარიამ სანოძე; ნინი ოქროპირიძე; თეკლა ოქროპირიძე; თომა ოქროპირიძე; თოკო შუბითიძე; ცოტნე შუბითიძე; ნინი გუგუშვილი; თიკო ბარკალაია; ელენე ბეციაშვილი; მარიამ ქურციკიძე; ნატალია ლილუაშვილი; გოჩუნა ლილუაშვილი; ნინი ყრუაშვილი; მარი ყრუაშვილი; ნინი ზაალიშვილი; რეზი ზაალიშვილი; მარი დოლიძე; დავით ქვარცხავა; ლადუკა ვაჩნაძე; ჯილდა მამულაძე; დაჩი აბაშიძე; ელენე ალფაიძე; აბესალომ დავითაძე; ივერი დავითაძე; თამთა მესხიძე; ბექა მესხიძე; ბექა ძირკვაძე; ლიდა საგინაძე; მახო ძირკვაძე; მანანა დავითაძე; ანა ძირკვაძე; უჩა ძირკვაძე; ლაშა ყავრიშვილი; თიკო ბარკალაია; ლიზი წითურიძე; ნონიკა დოლიძე; **ლუკა ლეგაშვილი;** გიორგი აბუსერიძე; მარი კუპატაძე; გიორგი ბარჯაძე; ნინი გუგუშვილი; დავით მჭედლიძე; ანი აგნიაშვილი; დავით აგნიაშვილი; გიგი ბერძენიშვილი; მარიამ ღაღანიძე; ლუკა ბარამიძე; ზურა დათუაშვილი; მარიამ გრემელაშვილი; ქეთევან ჯანგულაშვილი; ნიკა ჯანგულაშვილი; ლუკა ჯანგულაშვილი; გიგი თოფურია; ნანიკო ამონაშვილი; მარიამ აღნიაშვილი; რეზი აღნიაშვილი; სერგი სარქისოვი; ლუკა რუხაძე; დუდუ ამაღლობელი; ნანო მუქერია; ლიზიკო თურმანიძე; თამარ ქიშმარია; ნოდარ გიგინეიშვილი; ნიკოლოზ გიგინეიშვილი; მალხაზ ქობულია; ლიზი მაჩიტიძე; მარი მაჩიტიძე; რენადი სტურუა; თამარ სტურუა; ირაკლი ჟღენტი; გიგი აბრამიშვილი; გენადი ტიფაძე; ნიკოლოზ ტოფაძე; გიორგი ჯახუა; შალვა წკრიალაშვილი; გიგი წკრიალაშვილი; ნინი წკრიალაშვილი; ნატალი ყიფშიძე; ნატა დოლიძე; ბოკა ძებისაშვილი; ნიკა ძებისაშვილი; სალომე სამხარაძე; მარი სამხარაძე; მარიამ ედილაშვილი; ანა ედილაშვილი; ლაშა ვაჩეიშვილი; **ნინო კალმახელიძე;** ლანა ყოყოჩაშვილი; ზურა ყოყოჩაშვილი; ნია რომანაძე; ნატალი გრაკალიშვილი; ანი ხაჩიძე; მარი გუგულაშვილი; ზურა გუგულაშვილი; ელენე თანიაშვილი; დავით თანიაშვილი; ლინდი თათიაშვილი; ლუკა თათიაშვილი; თაზო ირემაძე; ლიზი მაზმიშვილი; ლაშა მაზმიშვილი; გიორგი კელოშვილი; გედი კელოშვილი; ქეთი კელოშვილი; მაკა მაისურაძე; მარიამ მაისურაძე; ნიკოლოზ მაისურაძე; ლიზი კონჯარია; ანასტასია ქანთარია; ზუკა ბუდინაშვილი; ნიკოლოზ თაბუაშვილი; მარიამ კირკიტაძე; ნათია ხომიზური; თიკა მაკარაშვილი; ანი მაღლაკელიძე; ლიზი დოლიძე; გიგა აიევი; საბა ჩუბინიძე; ანანო მჭედლიშვილი; გიგი აბრამიშვილი; ნატა ბუსკივაძე; რეზი კეშელავა; თაკო კეშელავა; ნიკოლოზ ხურცილავა; რეზი დათუაშვილი; მედეა საათაშვილი.


## რედკოლეგია:

რედაქტორი: ლელა ზურებიანი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: დათო მოსიაშვილი
მხატვარი: ნანა გიგოლაშვილი
სტილისტი: თამუნა ბერაძე



www.batibuta.ge
მის: დიღომი 7
218-42-32; 0790-37-06-88
ელ.ფოსტა: batibuta09@mail.ru

გვ. რაოდ.: 96
ფორმატი: 15.5X19.5
ყდა: მაგარი

ჩაიწერე ყველა შენი საიდუმლო უჩინარი მელნის კალმით! ამ წიგნაკის ფურცლებს მიანდე შენი ოცნებები, სურვილები და ყველაზე, ყველაზე დიდი საიდუმლო!



## ჩემი საიდუმლო წიგნაკი

გოგონებისთვის

ფასი 14.99 ლარი







## თოვლის დედოფალი

ფასი 24.99 ლარი

გვ. რაოდ.: 26
ფორმატი: 25.5X29
ყდა: ბალიშა

შენც დადექი თოვლიან გზაზე და დაიხსენი ბიჭუნა თოვლის დედოფლის ტყვეობიდან. როცა გერდა კაის იდუმალი გაუჩინარების მიზეზის ამოხსნას შეეცდება, წიგნის ყოველ გვერდზე საოცარი ამბები გელოდება. იმოგზაურე გოგონასთან ერთად შორეულ ქვეყნებში, შეხვდი ჯადოქარ ქალებს, მოლაპარაკე ცხოველებს, ლამაზ პრინცესასა და კეთილ ყაჩაღ გოგონას. ნუთუ უანგარო მეგობრობას ბოროტება და გულგრილობა დაამარცხებს და მუდამ თოვლის დედოფალი იბატონებს?!

გამომცემლობა პალიტრა L -ის წიგნები

ფორმატი: 22X29

## ვისწავლოთ

**თვლა, წერა, კითხვა, საათის ცნობა**

ჩვენს ჩანთაში ორი წიგნი, გამოსაჭრელი ანბანი, არითმეტიკული ციფრები, საათი და 2 საწერი დაფაა. ეს წიგნები დაგეხმარება, ისწავლო წერა-კითხვა, თვლა, საათის ცნობა, შეძლებ ერთმანეთისაგან განასხვაო ფერები და ფიგურები. ხალისით შეასრულებ ჩვენს მიერ შედგენილ სახალისო და შემეცნებით სავარჯიშოებს.

ფასი 13.99 ლარი

წიგნი-ჩანთა





იკითხეთ წიგნის მაღაზიებში ან დარეკეთ ნომერზე: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74
და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ www. palitral.ge Palitra.L.Publishing
პალიტრა L


დაუვიწყარი დაბადების დღე
დაუვიწყარ სტუმრებთან ერთად!
ოჯახში, ბაღში თუ სკოლაში
ბატიბუტა
გასართობი პროგრამა ყველა ასაკისათვის
საჩუქარი იუბილარს
დღესასწაულის ფოტო და ვიდეო გადაღება მონტაჟით
იუბილარის ფოტო ჟურნალის უახლოეს ნომერში
ლომი
თაგუნია
დათუნია
ძაღლი
მაიმუნი
საუკეთესო გართობა და უამრავი
სიურპრიზი 95 ლარიდან!!!
2-18-42-32; 595-77-30-50
www.batibuta.ge
ელ.ფოსტა: batibuta@qartuli.ge